კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #1

2016 წლის იანვარი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 15 – 31 იანვარი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობის შედეგები, ძირითადი მიღწევები

ახალი, 2016 წლის 15 იანვრიდან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებმა მუშაობა განაახლეს. ყველა აქტივობა, რომელიც გეგმის მიხედვით იყო გათვალისწინებული, თავის დროზე ჩატარდა. დაფიქსირდა გარკვეული მიღწევები სხვადასხვა მიმართულებით.

ცენტრების აქტიურობა სიტუაციის გასაუმჯობესებლად: განცხადებები, წერილები სხვადასხვა სამსახურში - მოქალაქეთა პრობლემების მოგვარება

ხშირად კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, მოქალაქეებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ, ვის მიმართონ. ასეთ დროს მობილიზატორები აქტიურად ერთვებიან საქმეში და აძლევენ მიმართულებას, ერთად ამზადებენ წერილებს.

ქუთაისში ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა: ოჯახი სოციალურად დაუცველია. მეუღლე მუშაობდა სამშენებლო ფირმაში ბრიგადირად. მის სახელზე გადაირიცხა მთელი ბრიგადისთვის დასარიგებელი ფული. სწორედ ამ

მიზეზით ოჯახს სოციალური სტატუსი მოეხსნა. ქალბატონი ამბობს, რომ ოჯახი სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა, რადგან ეს სამუშაო მისი მეუღლისთვის ერთჯერადია და შემოსავლის გარეშე დარჩნენ. მობილიზატორმა სთხოვა მას, ფირმისგან გამოეთხოვა დოკუმენტი, რომ მის სახელზე დარიცხული თანხა მთელი ბრიგადისთვის იყო დასარიგებელი. ამის შემდეგ შეადგინეს წერილი, თან დაურთეს ფირმისგან გამოგზავნილი დოკუმენტი და გაუგზავნეს სოციალურ სამსახურს. ქალბატონი ამბობს, რომ იმედი მიეცა და თვითონაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად.

ქუთაისში, ყოფილ სასტუმრო „კოლხეთში“, სადაც დევნილები ცხოვრობენ, წყალი ჩამოდის. ეს პრობლემა სამობილიზაციო შეხვედრაზე დაფიქსირდა. მობილიზატორის დახმარებით დაიწერა წერილი, შეგროვდა ხელმოწერები და გაიგზავნა მერიაში, რათა თანადაფინანსებით ეს პრობლემა მოგვარდეს.

სენაკში დახმარება ითხოვა ტუბერკულოზით დაავადებულმა მამაკაცმა. მას სჭირდება თანხა მედიკამენტების შესაძენად. მომზადდა წერილი გამგეობის სახელზე. უკვე მიიღო ინფორმაცია, რომ ის ერთჯერად დახმარებას მიიღოს.

წყალტუბოში ერთ-ერთ მოქალაქეს რამდენიმე თვის წინ მოუხსნეს სოციალური დახმარება. ცენტრის მობილიზატორთან ერთად მომზადდა წერილი და სოციალურ სააგენტოში გაიგზავნა. რამდენიმე დღეში მოვიდა სოციალური აგენტი და ფორმა ხელახლა შეავსეს. პასუხის მიღების შემდეგ შესაბამისად იმოქმედებენ.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ერთვებიან იურისტები.

ქუთაისში ყოფილი კლინიკური საავადმყოფოს შენობაში ჩასახლებულ დევნილებს ჯერ კიდევ არა აქვთ დაკანონებული საცხოვრებელი ფართი. ამ პრობლემის მოგვარებაში იურისტი ჩაერთო. მომზადდა წერილი დევნილთა სამინისტროს სახელზე, სადაც დევნილები ითხოვენ მათთვის გადაცემული ფართის დაკანონებას.

ფოთში იურისტს დახმარება სთხოვა ქალბატონმა. მისი შვილი ავღანეთში მსახურობდა და არ გადაერიცხა ბოლო თვის ხელფასი. მომზადდა წერილი და გადაეგზავნა შესაბამის სამინისტროს. ქალბატონმა იურისტთან კონსულტაციის შემდეგ გაარკვია, ვის უნდა მიმართოს, სად მივიდეს პრობლემის მოსაგვარებლად, პასუხის მიღების შემდეგ მზადაა, ჩავიდეს თბილისში და მიზეზები ადგილზე შეისწავლოს.

წყალტუბოში ქალბატონმა იურისტთან კონსულტაციის შემდეგ მოამზადა განქორწინებისთვის საჭირო დოკუმენტები და სასამართლოში შეიტანა.

ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტს დახმარება სთხოვეს საზღვარზე დაკავებული მამაკაცისთვის საჭირო დოკუმენტების შედგენაში. შესაბამისი საბუთები მომზადდა და მამაკაცი გაათავისუფლეს.
გეგმიური იურიდიული სინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა ექვსივე ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. ბენეფიციარებმა მიიღეს ინფორმაციები იმის შესახებ, რა ცვლილებებია შესული კანონში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით და რას ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა, როგორ იცავს შრომის კანონი ქალებს და რას ითვალისწინებს.
ამას გარდა, ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტმა იანვარში ჩაატარა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ქუთაისის 12 კოლექტიურ ცენტრში.

სხვადასხვა საკითხის ადვოკატირება

სხვადასხვა შინაარსის ქეისები დაგროვდა სხვა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში.

ქუთაისში ფონდის იურისტს თავშესაფრიდან დაუკავშირდნენ. საქმე ეხებოდა იქ მცხოვრები ქალბატონისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას. ქალბატონს უმთავრდება თავშესაფარში ცხოვრების ვადა. ის ოთხ შვილთან ერთად იმყოფება აღნიშნულ დაწესებულებაში. კანონის თანახმად, სტატუსის არქონის შემთხვევაში 9 დღის შემდეგ შესაძლოა ქუჩაში აღმოჩნდეს. ფონდ „სოხუმს“ ამ საკითხის მოსაგვარებლად თავშესაფრის ადვოკატი დაუკავშირდა. მაშინვე დაიწყო პროცესი. მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტი. ყველა ის ეტაპი, რომელიც ამ პროცედურას უკავშირდება, წარმატებით გაიარეს და პრობლემის ადვოკატირება მოხერხდა. ქალბატონს მიენიჭა ძალადობის მსხვერპლის სტატუსი. ის შვილებთან ერთად გარკვეული დროით უსაფრთხოდ გააგრძელებს თავშესაფარში ცხოვრებას.
სენაკში მობილიზატორმა შეიტყო, რომ ერთ-ერთი ბენეფიციარის შვილი რამდენიმე წელია, დალოგინებულია. ოჯახი მძიმე მდგომარეობაშია და არა აქვს ფული, რომ პამპერსები შეიძინოს. მობილიზატორის დახმარებით წერილობით მიმართეს გამგეობას, საიდანაც დადებითი პასუხი მოვიდა. მოქალაქე ერთჯერად დახმარებას მიიღებს.
სენაკში მეორე შემთხვევაც დაფიქსირდა. ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც სოციალურად დაუცველია, ითხოვდა დახმარებას. არა აქვს თბილი საბანი და სხვა საოჯახო ნივთები. პროცესში ჩაერთო წითელი ჯვრის საზოგადოება. მას გადაეცა პირველადი მოხმარების საგნები, თეთრეული, საბანი, საწოლი.
ხონში, იანვრის დიდთოვლობის დროს გაიჭედა წყალგამტარი არხები, რის გამოც დევნილთა დასახლებაში ისეთი წყალი დადგა, რომ მოძრაობა შეუძლებელი იყო. მობილიზატორებმა სასწრაფოდ წერილით მიმართეს

გამგეობას. რეაგირება მალევე მოხდა, მოვიდა სპეციალური ბრიგადა, გაიწმინდა სანიაღვრე, საკანალიზაციო არხები და პრობლემაც ოპერატიულად გადაიჭრა.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირებისა და პრობლემათა ადვოკატირების მიზნით

პრობლემათა ადვოკატირება, ბენეფიციარების ინფორმირება ადგილობრივ დონეზე არსებული სერვისების თაობაზე განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. ამ მიზნით ცენტრის მობილიზატორები აგრძელებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბენეფიციარების ინფორმირების დონე.

შეხვედრების შემდეგ მიღებული ინფორმაციები გავრცელდა სამობილიზაციო შეხვედრებზე. მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაციები, როგორია ახალი ბიუჯეტი, რას ითვალისწინებს სოციალური პაკეტები, რომლებიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, რა ტიპის დახმარებები შეუძლიათ მიიღონ ერთჯერადად.

აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბენეფიციარებისათვის: ინფორმაციით მრავალშვილიანი დედებისთვის მეოთხე შვილზე ერთჯერადი დახმარების შესახებ უკვე დაინტერესდნენ **ქუთაისში, სენაკში,** მიმართეს წერილობით მერიას და გამგეობას ამ დახმარების მისაღებად.

ფსიქოლოგის შეხვედრები, კონსულტაციები და მიღებული შედეგები

ქუთაისის, ხურჩის, სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში გაიმართა ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაციები. შეხვედრების ძირითადი თემა იყო ნეგატიური ემოციების და სტრესოგენური ფაქტორების დაძლევა ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით.

იგივე თემა იყო სასაუბროდ ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე ქუთაისის 12 კოლექტიურ ცენტრში.

წყალტუბოში, ფოთში და ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე ძირითადი თემა იყო „სუიციდის რისკი ძალადობრივ გარემოში, ფსიქოლოგიური ტრავმების კვალი და სუიციდის პრევენცია“.

შეხვედრები ინტერაქტიულად წარიმართა და თემა კონსულტაციის ყველა მონაწილისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია სოფელ ივანდიდში, რადგან სოფელს ახლო

წარსულში ჰქონდა სამწუხარო გამოცდილება თანასოფლელის სუიციდის გამო. მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიღებულ კონსულტაციებს ისინი ცხოვრებაში გამოიყენებენ.

ფოთში ერთ-ერთმა მონაწილემ ინდივიდუალური კონსულტაცია მოითხოვა ფსიქოლოგთან, მას სურს შვილთან ერთად მოვიდეს, რადგან მასთან ურთიერთობაში პრობლემები აქვს.

ხურჩაში კონსულტაცია გაეწია ქალბატონს, რომელსაც დეპრესიული მომენტები აქვს და არ იცის, რატომ. საამისოდ სერიოზული მიზეზი არ გააჩნია. ფსიქოლოგთან საუბრის შემდეგ მისი მდგომარეობა პოზიტიური გახდა. როგორც გაირკვა, მას აქვს ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტი. მთელი ზამთარი იჯდა სახლში, არ გასულა მეზობელთანაც კი და მოეჩვენა, რომ ყველაფერი იყო ერთფეროვანი და ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. ამან დეპრესიული ფონი შეუქმნა. ის გააგრძელებს შეხვედრებზე სიარულს, რათა დეპრესია მოეხსნას.

ქუთაისში ინდივიდუალურ კონსულტაციაზე რამდენიმე თვეა დადის ქალი, რომელიც თვლიდა, რომ მისი ოჯახი მალე დაინგრევა, რადგან მისი აზრები ოჯახში არ აინტერესებს მეუღლეს, შვილებს. ეჩვენებოდა, რომ ზედმეტი იყო ყველასთვის და ამის გამო აგრესიას ავლენდა ოჯახის წევრების მიმართ. ფსიქოლოგმა მისცა მითითება, რომ აკონტროლოს ემოციები და ნუ შექმნის ოჯახში უარყოფით გარემოს, რომელიც მასვე უბრუნდება უარყოფითად. რამდენიმე სეანსის შემდეგ ქალბატონმა აღიარა, რომ მისდაუნებურად კონფლიქტურ სიტუაციებს თვითონ ქმნიდა ოჯახში. ახლა ამბობს რომ მის ოჯახს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, ამჩნევს, რომ ყველას სჭირდება და მისი უარყოფითი ემოციები შინაგანი განწყობით იყო განზოგადებული.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

ძალადობის მონიტორინგი ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, თუმცა დღემდე პრობლემაა ფაქტების გამოაშკარავება, ან უფრო ხშირად - ჭირს თანამშრომლობის გაგრძელება ძალადობის მსხვერპლთან, რადგან უმრავლესობას ურჩევნია, საკუთარი ოჯახის პრობლემა გარეთ არ გაიტანოს.

მთელი თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 9 ანკეტა. მათ შორის 4 მზად არის, ითანამშრომლოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან და ფსიქოლოგის კონსულტაციები გაიარა. ერთმა იურისტთან ისაუბრა და მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაციები, რამდენად იცავს კანონი, რა უფლებები აქვს, ვის შეიძლება მიმართოს და სთხოვოს დახმარება. მაგრამ ამ ეტაპზე არ არის მზად, რამე შეცვალოს თავის ცხოვრებაში. თანმშრომლობას ცენტრთან ისევ გააგრძელებს.

ახალგაზრდული კლუბები, ინიციატივები, დამატებითი აქტივობები

ოჯახური ძალადობის მიზეზები, შედეგები და გადაწყვეტის გზები - ამ საკითხებზე გაიმართა ახალგაზრდული კლუბების საინფორმაციო შეხვედრები. ძალადობის თემა ექვსივე რეგიონის ახალგაზრდებისთვის აქტუალური აღმოჩნდა. შეხვედრებზევე გამოიკვეთა კონკრეტული ინიციატივები.

წყალტუბოს ახალგაზრდული კლუბის საინიციატივო ჯგუფმა სოფელ თერნალში ძალადობის თემაზე ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ახალგაზრდებთან ერთად მათი მშობლებიც დაესწრნენ. ღონისძიებამ საინტერესოდ ჩაიარა, მონაწილეებმა მოითხოვეს მსგავსი დისკუსიის გაგრძელება.

ფოთის მეოთხე სკოლის ახალგაზრდებმა მოაწყვეს საქველმოქმედო ღონისძიება. შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც გადაეცათ ბავშვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

სენაკის მე-4 სკოლაში ინტერაქტივმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი, ამიტომ მეტი დრო დაეთმო ინფორმაციულ ნაწილს, შედეგები შეხვედრებზევე გამოჩნდა - ცვლილებები ახალგაზრდების მოსაზრებებში, ხედვაში, მათ დამოკიდებულებაში პრობლემის მიმართ.

წყალტუბოში, სენაკში, ფოთში ჩატარდა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში. შეხვედრების თემა იყო: კონფლიქტის ანალიზი - როგორც კონფლიქტების მართვის სტრატეგია.

შეირჩა ის სკოლები, რომლებთანაც არ გვქონია თანამშრომლობა. ამან გაზარდა ახალი ბენეფიციარების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლაში უფრო მეტი სამუშაოა ახალგაზრდებთან, რათა მათ გამოუმუშავდეთ თავისუფალი აზროვნება, მოახერხონ დისკუსიაში ჩართვა და საკუთარი აზრის დაფიქსირება.

შეხვედრებს პედაგოგებიც დაესწრნენ. მათი აზრით, არაფორმალური განათლება მოსწავლეებს დაეხმარება, იმსჯელონ ლოგიკურად, იაზროვნონ თავისუფლად და ძალადობის მიმართ გამოუმუშავდეთ პროტესტის გრძნობა.

ადგილზევე გამოიკვეთა რამდენიმე ინიციატივა. ფოთში ახალგაზრდები ჩაატარებენ დისკუსიას თემაზე „როგორ ვმართოთ კონფლიქტები“, წყალტუბოში ჩატარდება კონკურსი თემაზე „არ მინდა, მსხვერპლი ვიყო“.

გამოითქვა ინიციატივა, გაიმართოს გაერთიანებული შეხვედრა სხვადასხვა სკოლის მონაწილეობით. ახალგაზრდები გაეცნობიან თანატოლების მოსაზრებებს ძალადობის თემაზე.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრმა წარმოდგენა გამართა წყალტუბოს მესამე სკოლაში და ქუთაისში - სიყვარულის პარკში. წარმოდგენებში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდები და, შესაბამისად, ოჯახური კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი დაფიქსირდა.
განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს წყალტუბოში. გაიჟღერა იდეამ სკოლაში მსგავსი ფორმატის ჩამოყალიბების შესახებ.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ანკეტირება ქუთაისსა და ზუგდიდში ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.
კვლევაში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს თვითმმართველობების 130 წარმომადგენელი.
მოპოვებული ინფორმაციით ცხადი გახდა, რომ თვითმმართველობას ყველა სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ რგოლზე მეტად აქვს შეხება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან და შეძლებისდაგვარად უწევს რეაგირება, თუმცა ყველაზე ხშირად არ გააჩნია საამისო კომპეტენცია და რესურსები.
თვითმმართველობის წარმომადგენლებს ხშირად არა აქვთ ინფორმაცია არსებულ მექანიზმებზე და ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რა კუთხით უნდა იყოს თვითმმართველობა ჩართული პრობლემის მოგვარებაში (პრევენცია, შემთხვევების მართვა, დახმარება). მათი მხრიდან გაჟღერდა რეკომენდაცია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციისა და უფლებამოსილების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათთან კონსულტაციით და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც არის ადგილებზე, განსაკუთრებით პერიფერიებში - ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით და მისი სოციალური შედეგების კუთხით.
თვისობრივი ინფორმაციის შეგროვება მოხდა ფოკუს-ჯგუფის მეთოდით. ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი ოზურგეთისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში. შეხვედრას ესწრებოდა 30 ადამიანი - 23 მამაკაცი და 7 ქალი.
შესაბამისი კანონმდებლობის და საბიუჯეტო რესურსების არსებობის შემთხვევაში, თვითმმართველობის სტრუქტურებში არის მზაობა, ჩაერთონ ოჯახში ძალადობის პრევენციის პროცესში.